

**შუა საუკუნეების ქართული „სანიშნო“
დედების, ე. წ. ავტორიტეტული ხელნაწერების
ძიებაში
SEARCHING FOR RELIABLE MEDIEVAL GEORGIAN
ORIGINALS – AUTHORITATIVE EXEMPLARS**

**თამარ ოთხმეზური
Tamar Otkhmezuri**

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

საკვანძო სიტყვები: შუა საუკუნეები, ქართველი მთარგმნელები,
გადამწერები, ხელნაწერები, ავტოგრაფები.

Keywords: Middle Ages, Georgian Translators, Scribes, Manuscripts,
Autographs.

შუა საუკუნეების ქრისტიანულ სამყაროში მიმდინარე მნიგნობრული პროცესების მნიშვნელოვან სფეროს ხელნაწერი წიგნების გადაწერა-გავრცელება წარმოადგენდა. ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, რომელიც შუა საუკუნეების გადამწერის წინაშე იდგა, იყო გადასაწერად სანდო დედნის შერჩევა. განსაკუთრებული ღირებულებით გამოირჩეოდნენ ე. წ. ავტორიტეტული ხელნაწერები – საუკეთესო, სანდო დედნებად აღიარებული ეგზემპლარები, რადგან მათში ტექსტის სწორედ ის ფორმა იყო წარმოდგენილი, რომელიც კომპეტენტური პირების მიერ იყო ხელდასხმული შემდგომი გამრავლება-გავრცელებისათვის. ქართულ ხელნაწერთა კოლოფონებში არის პირდაპირი მინიშნებები მნიგნობრულ ტრადიციაში ე. წ. ავტორიტეტული ხელნაწერების არსებობის შესახებ. დასტურდება სპეციალური ტერმინი, რომელიც სწორედ ამ ტიპის ხელნაწერებს აღნიშნავდა. ეს ტერმინია „ნუსხა“, რომელიც ქართულ ხელნაწერთა კოლოფონებში ერთმანეთთან ახლოს მდგომი, თუმცა განსხვავებული მნიშვნელობით დასტურდება: ნუსხა, როგორც ავტოგრაფული ხელნაწერი და ნუსხა, როგორც ავტორიტეტული ხელნაწერი.

ტერმინი „ნუსხა“ ავტოგრაფული ხელნაწერის მნიშვნელობით თავს იჩენს ათონური ხელნაწერების კოლოფონებში, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებისა და თეოფილე ხუცეს-მონაზონის თარგმანების შემცველ კრებულებში. დღეისათვის ივირონის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში გამოვლენილია გიორგი მთაწმინდელისა და თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანების შემცველი რამდენიმე ხელნაწერი, რომლებიც მათ ავტოგრაფებად არის მიჩნეული; ამ ხელნაწერთა კოლოფონებში ორივე მნიგნობარი იყენებს ტერმინებს – ნუსხა და ნუსხვა, როდესაც საკუთარი ხელნაწერებისა და მათი შედგენის შესახებ საუბრობს.

„ნუსხა“ ავტორიტეტული ხელნაწერის მნიშვნელობით დასტურდება სახარების გიორგი მთაწმინდელის რეცენზიის შემცველი ხელნაწერის, ვანის სახარების გადამწერისეულ კოლოფონში. გადამწერი აღნიშნავს, რომ გიორგი მთაწმინდელის

სახარების ხელნაწერი „ნუსხად მდებარე იყო“ ივირონის დიდ წიგნთსაცავში. კოლოფონში, რომელიც ერთვის ექვთიმე მთაწმინდელის მიერ ნათარგმნ იოანე ოქროპირის მათეს სახარების კომენტარს, ნუსხად – მოდელად – არის მოხსენიებული ამ თხზულების ექვთიმეს ხელით დაწერილი ხელნაწერი.

გიორგი მთაწმინდელისა და თეოფილე ხუცესმონაზონის დღეისათვის ცნობილ ავტოგრაფულ ხელნაწერებს – ყველას – ავტორიტეტულ ხელნაწერებად ვერ მივიჩნევთ, უმეტესობა, როგორც ჩანს, რიგითი ეგზემპლარებია, თუმცა მათგან ორი, ჩვენი აზრით, ასრულებდა სწორედ მოდელის ფუნქციას. ესენია: გიორგი მთაწმინდელის პარაკლიტონი (Ivir. iber. 45) და თეოფილე ხუცესმონაზონის სექტემბრის თვის მეტაფრასი (Ivir. iber. 20). ორივე შეიცავს ინსტრუქციებს მომავალი გადამწერებისათვის იმის შესახებ, თუ როგორ, რა წესების დაცვით უნდა გადაინეროს მათი ნაშრომები.

ამგვარად, ქართულ ხელნაწერთა გადანერა-გამრავლება იყო კარგად გააზრებული, ორგანიზებული პროცესი, დარეგულირებული იმ წესებითა და მიდგომებით, რომლებიც დამკვიდრებული იყო ბიზანტიასა და ქრისტიანულ აღმოსავლეთში ხელნაწერი წიგნის პროდუქციის სფეროში.

ლიტერატურა:

- ჯობაძე, ვ. – Djobadze, W. (1976) Materials for the Study of Georgian Monasteries in the Western Environs of Antioch on the Orontes. Louvain: Peeters.
- ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, I, რედ. ე. მეტრეველი, (1986). თბილისი: მეცნიერება.
- ბრუნი, ა. – Bruni, A. (2013), Identifying the Autograph of St. George Mtac’mindeli: Palaeographical and Codicological Notes on Georgian Manuscripts of the Iveron Monastery, D. Muskhelishvili ed. Georgian Athonites and Christian Civilization, Religion and Spirituality, New York: Nova Science Publishers.

For medieval scribes involved in the production and dissemination of manuscripts, one of the main challenges was the selection of a reliable original for copying. Of particular value were so-called authoritative exemplars of medieval works, recognized as the best, most reliable originals – models, because they contained the very exact form of the text which, in the view of competent persons or institutions, required further reproduction and dissemination. In the colophons of Georgian manuscripts, there are direct references to the existence of authoritative manuscripts, as well as a special term that refers to this type of manuscript. This is *nuskha* (ნუსხა), which in ancient Georgian written sources has two meanings: (a) an autograph manuscript, and (b) an authoritative manuscript.

(a) The term *nuskha* in the sense of an autograph – an exemplar written by author or translator himself – is especially common in colophons of Athonite manuscripts, including translations of Euthymius and George the Hagiorites, and Theophilus the Hieromonk. Today, the collection of Georgian manuscripts of the Iviron monastery contains several manuscripts, which are considered to be George the Hagiorite's and Theophilus the Hieromonk's autographs. In the colophons of these manuscripts, both Georgian scholars use this term when talking about manuscripts either copied or written by them.

(b) The lexical unit *nuskha* as an authoritative manuscript is confirmed in the manuscript of the famous Vani Gospel (NCM A-1335, 12th c.). It contains George the Hagiorite's version of the Gospel. The scribe of the manuscript states that the manuscript of the Gospel of George the Hagiorite was placed as a model (ნუსხად მდებარე იყო) in the book storage of Iviron. The colophon, which is attached to the Commentary on the Gospel of Matthew by John Chrysostom translated by Euthymius the Hagiorite (Ivir. iber. 10), states that this work was completed by Euthymius as a model (*nuskha*) on Mt Athos. Evidently, these autographs of Euthymius and George the Hagiorites were recognized as authoritative manuscripts – reliable models for further copying and dissemination.

Obviously, we do not consider all autographs of Georgian translators as authoritative manuscripts, most of them are common exemplars, but in our opinion, two of them – George the Hagiorite's au-

tograph of Parakletike (Ivir. georg. 45) and Theophilus' autograph of the Metaphrastic Collection of September (Ivir. georg. 20) were recognized as authoritative exemplars by Georgian scribes and scholars. In the introductions and colophons of these exemplars George and Theophilus presented instructions to be followed by future scribes.

Thus, copying and dissemination of Georgian manuscripts was a well-thought-out, organized process, regulated by the rules established in the field of manuscript production in Byzantium and the Christian East.

References:

- Djobadze, W. (1976), *Materials for the Study of Georgian Monasteries in the Western Environs of Antioch on the Orontes*. Louvain: Peeters.
- *Description of Georgian Manuscripts*. Athonite Collection, ed. Metreveli, E. (1986), Tbilisi: Metsniereba.
- Bruni, A. (2013), *Identifying the Autograph of St. George Mtac'mindeli: Palaeographical and Codicological Notes on Georgian Manuscripts of the Iveron Monastery*, "Georgian Athonites and Christian Civilization, Religion and Spirituality", ed. Muskhelishvili, D., New York: Nova Science Publishers.

ოთხთანხმოვნის ძირეული მორფემების
სტრუქტურა ძველ ეთიოპურში (გე'ეზი)
STRUCTURE OF THE FOURCONONANTAL ROOT
MORPHEMES IN OLD ETHIOPIC (GE'EZ)

ნათელა ჯვანია
NATELA ZHVANIA

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ilia State University

გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
Giorgi Tsereteli Institute of Oriental Studies

საკვანძო სიტყვები: ორთახმოვნის, ჰამიტო-სემიტური,
სამთახმოვნის, ოთხთახმოვნის, ქუშიტური
Keywords: Biconsonantal, Hamito-Semitic, Triconsonantal,
Fourconsonantal, Cushitic